



ინოვაციებისა და  
ცვლილებების ინსტიტუტი

ინოვაციებისა  
და ცვლილებების

19 წელი

2002-2021  
საქმიანობის  
ანგარიში  
[www.ici.org.ge](http://www.ici.org.ge)

ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი

ორგანიზაციის რეკვიზიტები:

[www.ici.org.ge](http://www.ici.org.ge)

[www.facebook.com/ici.org.ge](https://www.facebook.com/ici.org.ge)

[info@ici.org.ge](mailto:info@ici.org.ge)

[ici.info.02@gmail.com](mailto:ici.info.02@gmail.com)

599 156384; 599 177519

ობურგეთი, რუსთაველის ქ. #4

#4 Rustaveli St., Ozurgeti 3500 Georgia



# შინაარსი

შინასიტყვაობა	2
მისია, ხედვა, საქმიანობის მიმართულებები	3
პროექტული საქმიანობა	4
<b>განათლება და ახალგაზრდების განვითარება</b>	<b>4</b>
ფეხბედნიერი ინიციატივა: სატელიტური ინტერნეტცენტრი ოზურგეთში	4
პირველი წარმატებული პარტნიორობა	4
მოვარგოთ მსოფლიო ბავშვებს	5
სამოქალაქო განათლების პროგრამები	5
ინგლისური ენის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამა (ACCESS)	6
გადავაქციოთ ჩვენი თემები უკეთეს საცხოვრებელ ადგილებად	7
სად მიდის ჩემი ფული	7
განათლების და ახალგაზრდების განვითარების მიმართულებით განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი	8
<b>დასაქმება, პროფესიული ზრდა და სოფლის განვითარება</b>	<b>10</b>
პირობით მსჯავრდებული არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების რეინტეგრაციისა და განვითარების ხელშეწყობა	10
მიგრანტთა საგანმანათლებლო და ბიზნესსაქმიანობების მხარდაჭერი პროექტი	10
პროფესიული განათლების სისტემების მოდერნიზაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში	11
უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის	12
დასაქმების, პროფესიული ზრდისა და სოფლის განვითარების მიმართულებით განხორციელებული პროექტები	12
<b>კარგი მმართველობა</b>	<b>13</b>
მართე სახლიდან	13
საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრები სოფლად	13
იყავი თანამმართველი	14
კარგი მმართველობის მიმართულებით განხორციელებული პროექტები	15
შვილობილი ორგანიზაციები	16
ფინანსური ანგარიში	17
დონორები	18



# მისია, ხედვა, საქმიანობის მიმართულებები

## ჩვენი მისია:

საქართველოში ადამიანებსა და ორგანიზაციებს ჰქონდეთ განვითარების შესაძლებლობა, რათა განახორციელონ პოზიტიური ცვლილებები ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის.

ამისთვის ორგანიზაცია ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ახორციელებს პროგრამებსა და პროექტებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ინოვაციური მიდგომებით, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, თანაბარი შესაძლებლობისა და თანამონაწილეობითი პრინციპების დანერგვით.

## ჩვენი ხედვა:

საქართველოში არის გარემო, სადაც ყველა ადამიანს აქვს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობისა და თვითრეალიზებისათვის.

## ორგანიზაციის საქმიანობები:

- პროექტებისა და პროგრამების განხორციელება
- მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფორმალური და არაფორმალური სასწავლო კურსები
- ქვე-გრანტების გაცემა და მართვა
- დასაქმების საშუაშვლო სერვისები
- ადვოკატირება და ლობირება
- სოციალური საწარმოების დაფუძნება და მართვა
- საკონსულტაციო მომსახურება

## სტრატეგიული მიმართულებები 2021-2024:

უახლოესი ოთხი წელი ვიმუშავებთ შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- განათლება
- კარგი მმართველობა
- ახალგაზრდების განვითარება
- მწვანე ეკონომიკა
- სოციალური ინოვაციები
- ქალთა გაძლიერება

## მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემები (2002-2021):

- საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში (მათ შორის ფორუმ თეატრის სპექტაკლები) ჩართული იყო 12000-მდე ადამიანი
- განხორციელდა 2000-მდე სათემო/ მოხალისეობრივი ინიციატივა (მათ შორის ადვოკატირების კამპანიები)
- გაცემული ქვე-გრანტების ოდენობა (ევროში) – 350 000
- დაარსებული სოციალური საწარმოების ოდენობა - 3
- შვილობილი ორგანიზაციები - 3



# პროექტული საქმიანობა

## განათლება და ახალგაზრდების განვითარება

### ფეხბედნიერი ინიციატივა: სატელეტური ინტერნეტცენტრი ოზურგეთში

ორგანიზაციის პირველი პროექტი, „სატელეტური ინტერნეტცენტრი ოზურგეთში“, 2002 წელს, American Online-ისა (AOL) და მშვიდობის კორპუსის (Peace Pack) ხელშეწყობით განხორციელდა. იმ დროს, ეს იყო პირველი ინტერნეტცენტრი, რომელიც საქართველოს რეგიონებს შორის, სწორედ ოზურგეთში გაიხსნა.

პროექტის ფარგლებში, ჩვენი ორგანიზაციის, მაშინდელი „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ ბაზაზე ამოქმედდა პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელი კურსები და ინტერნეტის მოხმარების ცენტრი.

მისი მეშვეობით კი მრავალ ახალგაზრდას გაუჩნდა უცხოეთში სწავლისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

პროექტით შეთავაზებულ პერსონალური კომპიუტერის სასწავლო კურსში 250-ზე მეტი ახალგაზრდა ჩაერთო, ხოლო ინტერნეტცენტრის მომსახურებით კი 300-მდე ადგილობრივმა მცხოვრებმა ისარგებლა.

ორგანიზაციის გუნდთან ერთად, პროექტის განხორციელებაში ამერიკის მშვიდობის კორპუსის მოხალისეები ჩაერთნენ. ამ პროექტში, ჩვენი პარტნიორი „პროგრესის სახლი“ (მაშინდელი „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“) იყო.

### პირველი წარმატებული პარტნიორობა

„გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრისთვის“ საეტაპო მნიშვნელობის იყო გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) პარტნიორობა, რომლის ფარგლებშიც, ორგანიზაციაში დაინერგა ბავშვის უფლებათა სწავლებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის მიმართულება.

პროექტებმა - „ახალგაზრდების მონაწილეობა და განვითარება“, „ბავშვებმა უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებები“ (ბავშვის უფლებების მობილური ვაგონი გურიაში) - საფუძველი ჩაუყარეს ორგანიზაციის ბაზაზე მოქმედ არაფორმალურ გაერთიანებას, ახალგაზრდა ლიდერთა ჯგუფსა და, მათი მოხალისეობრივი ძალისხმევით, გურიის რეგიონში ბავშვების განათლებასა და გააქტიურებას.

საერთო ჯამში, ორივე ინიციატივაში 500-ზე მეტი ადამიანი ჩაერთო და მობილურმა ვაგონმა მთელი გურია კიდით-კიდემდე მოიარა. ახალგაზრდა ლიდერთა ჯგუფმა კი 100-მდე საინტერესო მოხალისეობრივი ინიციატივა

განახორციელა და გამოსცა პერიოდული გაზეთების სერია - „მონაწილეობა და განვითარება“ და „ჩვენი გაზეთი თქვენთვის“.





### **„მოვარგოთ მსოფლიო ბავშვებს“**

2006-2008 წლებში, „გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა“, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ლიდერი ორგანიზაციის რანგში, ბავშვის უფლებათა განათლების, პოპულარიზაციისა და სექტორთა შორის თანამშრომლობის მასშტაბური პროექტი - „ვთანამშრომლობთ, რათა მოვარგოთ მსოფლიო ბავშვებს“ – განახორციელა გურიის რეგიონში.

პროექტის განმავლობაში ჩატარდა საგანმანათლებლო სესიები ბავშვის უფლებათა კონვენციის, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომისა და დებატების ხელოვნების საკითხებზე, რასაც 120-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. განხორციელდა თანასწორ



განმანათლებელთა და თაობათა შორის პარტნიორობის პროგრამები სხვადასხვა თაობის 70 მონაწილის ჩართულობით. განხორციელდა სათემო ინიციატივები და ბავშვის უფლებათა დაცვის კამპანიები, რომელშიც 300-ზე მეტი ადამიანი ჩაერთო. ბავშვის უფლებათა თემაზე შეიქმნა სამი დოკუმენტური ფილმი, რომელიც 1000-ზე მეტმა ადამიანმა ნახა. ჩატარდა შემოქმედებითი კონკურსები და დებატების ტურნირები. გამოიცა კედლის კალენდარი და ბავშვის უფლებათა წიგნი დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის. ბავშვის უფლებათა თემაზე მომზადდა ფორუმ თეატრის სამი სხვადასხვა წარმოდგენა, რომელიც 1000-მდე ადამიანმა ნახა.

### **სამოქალაქო განათლების პროგრამები**

„გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“, 2010 წლიდან 2021 წლამდე პარტნიორობდა ორგანიზაცია PH International-თან ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მხარდაჭერილი სამოქალაქო განათლების პროგრამების განხორციელებაში.

აღნიშნულმა პროექტებმა წარმატებით მიაღწია დასახულ მიზანს და ხელი შეუწყო სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას საქართველოს 11 რეგიონში, მათ შორის გურიის რეგიონის 38 სკოლაში. პროგრამების განხორციელების



შედეგად შეიქმნა სამოქალაქო განათლების სასწავლო რესურსი, ამაღლდება პედაგოგების პროფესიული ცოდნა და მოხდა მოსწავლეთა



გააქტიურება სამოქალაქო პროცესებში, სათემო საჭიროებების მოგვარებაზე ორიენტირებული სასკოლო ინიციატივების განხორციელებით.

ამ წლების განმავლობაში, გურიის რეგიონში დაარსდა 50-მდე სამოქალაქო კლუბი, რომლებმაც განახორციელეს 1000-ზე მეტი სასკოლო ინიციატივა. სასკოლო სამოქალაქო კლუბის წევრებისთვის და პედაგოგებისთვის ჩატარდა 300-ზე მეტი ტრენინგი. სხვადასხვა სტრუქტურასთან თანამშრომლობით, ახალგაზრდებმა განახორციელეს 200-ზე მეტი ინიციატივა; გაიცა 100-მდე მცირე გრანტი, რომლის ფარგლებშიც მოგვარდა სხვადასხვა სახის სასკოლო-სათემო პრობლემა: მოწესრიგდა სკოლის ბიბლიოთეკა, მოეწყო გარე სპორტული სივრცეები. სასათბურე მეურნეობები და ა.შ.

რეგიონში დაარსებული სასკოლო სამოქალაქო კლუბის წევრები შეხვდნენ 300-ზე მეტ მოწვეულ სტუმარს, განახორციელეს 100-ზე მეტი ვიზიტი სხვადასხვა დაწესებულებაში, 100-ზე მეტმა მოზარდმა გაიარა სტაჟირების პროგრამა თავიანთი ინტერესების შესაბამისად, ხოლო სამოქალაქო განათლების ბანაკებში კი 200 ბავშვი ჩაერთო. პროგრამის ფარგლებში გამოვლინდნენ წლის საუკეთესო პედაგოგები, სამოქალაქო განათლების წარმატებული პედაგოგები, სასკოლო სამოქალაქო კლუბების საუკეთესო მეურვე პედაგოგები. საკლუბო ტექნიკის კონკურსის ფარგლებში, დაჯილდოვდნენ წარმატებული სამოქალაქო კლუბები და პედაგოგები.

### **ინგლისური ენის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამა (ACCESS)**

პროექტს - ინგლისური ენის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამა (ACCESS) - ახორციელებს PH International-ი, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაფინანსებით, „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“ კი პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორია ობურგეტში.

პროგრამა მიზნად ისახავს, ხელმისაწვდომი გახადოს ინგლისური ენის შესწავლა 13-დან 16 წლამდე მოზარდებისთვის ეკონომიკურად და სოციალურად შეჭირვებული ოჯახებიდან. გარდა იმისა, რომ ბავშვები შეისწავლიან ინგლისურ ენას, ისინი, ასევე ეზიარებიან ამერიკულ კულტურას, წეს-ჩვეულებებს და განივითარებენ ლიდერის თვისებებს.

პროგრამა ორწლიანია და მოიცავს სწავლების 4 სემესტრს (420 საათს). ყოველი წლის ივლისის თვეში, მოსწავლეებს უტარდებათ ერთკვირიანი საზაფხულო ბანაკი. ორწლიანი პროგრამის



დასრულებისას, კურსდამთავრებულებს გადაეცემათ ამერიკის ელჩის მიერ ხელმოწერილი სერთიფიკატები.

2011 წლიდან დღემდე ჩვენმა ორგანიზაციამ პროგრამის ოთხ ჯგუფს უმასპინძლა, რომელშიც საერთო ჯამში 100-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთო. 2021 წელს პროგრამის სამი მოსწავლე ქეთათო სურგულაძე, ლიზი დოლიძე და გიორგი ბელთაძე გაცვლითი პროგრამის (Access Exchange Program) გამარჯვებულები გახდნენ და ზაფხულში ამერიკაში, კალიფორნიის შტატში, სამკვირიან საზაფხულო სკოლაში გაემგზავრებიან.



## **„გადავაქციოთ ჩვენი თემები უკეთეს საცხოვრებელ ადგილებად“**

2005-2006 წლებში, „ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტმა“ ევროკავშირის დაფინანსებით განახორციელა პროექტი - „გადავაქციოთ ჩვენი თემები უკეთეს საცხოვრებელ ადგილებად“. პროექტის პარტნიორი იყო სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო. პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა თემის განვითარებისა და ადგილობრივი გადაწყვეტილებათა პროცესებში, ასევე ახალგაზრდების ჩართვით ხელისუფლების ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალების გაზრდა.

პროექტმა მოიცვა გურიის რეგიონის 9 სოფელი: სამ-სამი სოფელი ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში. შერჩეულ სოფლებში გამოვავლინეთ ახალგაზრდების ჯგუფი: 18-30 წლის 20 ახალგაზრდა. დაარსდა ოფისები. პროექტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სოფლების მცხოვრებლებთან. პროექტის მიზნობრივ სოფლებში დაახლოებით 180 ახალგაზრდას და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელს ჩაუტარდა საგანმანათლებლო კურსები შემდეგ საკითხებზე: ლიდერობა და მოხალისეობა; პროექტების წერა და სოფლის განვითარების გეგმის მომზადება; თანხების მოძიება; ადგილობრივი ბიუჯეტი, მისი შესრულება და მონიტორინგი; ადამიანის უფლებები.



ჩატარდა სოფლების ადგილობრივი ბიუჯეტების ყოველთვიური განხილვები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების და სოფლის მოსახლეობის მონაწილეობით. თითოეულ სოფელში ახალგაზრდულმა ჯგუფებმა ჩაატარეს საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საზოგადოების გაცნობიერების დონისა და სოფლის პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით. ახალგაზრდულმა ჯგუფებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს თითოეული სოფლის ბიუჯეტის მომზადების პროცესში და შესაბამისად მოახერხეს კვლევის შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტების გათვალისწინება.

პროექტის თანამშრომლების თანადგომით, თითოეულმა ახალგაზრდულმა ჯგუფმა მოამზადა სოფლის განვითარების გეგმა და საპროექტო წინადადება. საზოგადოების გაცნობიერების მიზნით, მზადდებოდა ორგანიზაციის პერიოდული გამოცემა „ჩვენი გაზეთი“ და ყოველკვარტალური ტელეგადაცემა.

## **„სად მიდის ჩემი ფული“**

2010-2011 წლებში, „გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა“ ევროპის ფონდის მხარდაჭერით განახორციელა პროექტი - „სად მიდის ჩემი ფული“. პროექტის მიზანი იყო გურიის თემების აქტიური ჩართვა ადგილობრივი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

პროექტის ფარგლებში, მიზნობრივ თემებში შეიქმნა მოხალისე ახალგაზრდების ჯგუფები. განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა - „ადგილობრივი ბიუჯეტი და მისი მონიტორინგი“, რომელშიც 150-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. გარდა ამისა, გაიმართა ფორუმ თეატრის სპექტაკლები,



„სად მიდის ჩემი ფული“ და „გამოფხიზლება“, რომლებსაც 600-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. გაიმართა მრგვალი მაგიდები ხელისუფლების, მასმედიის, არასამთავრობო სექტორისა და

საზოგადოების მონაწილეობით. ჩატარდა ტრენინგი - „სამოქალაქო მონიტორინგი“ და შემუშავდა სამოქალაქო მონიტორინგის 5 მოდელი. მომზადდა რეკომენდაციები ადგილობრივი ბიუჯეტში მოსახლეობის საჭიროებების ასახვის მიზნით. პროექტმა ხელი შეუწყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდას, სამოქალაქო მონიტორინგის პრაქტიკის დანერგვას და სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებას, ასევე ხელისუფლების ორგანოების ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას და საზოგადოების, როგორც მაკონტროლებლის რგოლის, გაძლიერებას.

### **განათლების და ახალგაზრდების განვითარების მიმართულებით განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი**

- American Online, მშვიდობის კორპუსი - „სატელიტური ინტერნეტცენტრის დაარსება ოზურგეთში“ - სექტემბერი 2002 - აგვისტო 2004
- Unicef – „ახალგაზრდების მონაწილეობა და განვითარება“ – იანვარი 2002 - მაისი, 2003
- Unicef – „ბავშვებმა უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებები“ - ივნისი 2003 - დეკემბერი 2003
- მსოფლიო ბანკი, GEF ICZM – „ჭარბტენიანი ტერიტორიები საფრთხეშია“ - იანვარი-აპრილი 2004
- დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამა , ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში - „დემოკრატია უნდა სწავლობდეს ყველა თაობა“ - სექტემბერი 2004-მაისი 2005
- ევროპის ფონდი - „ვიცი, შემიძლია შევცვალო“ - ნოემბერი 2004-ნოემბერი 2005
- მშვიდობის კორპუსის მცირე გრანტების პროგრამა - „აღზარდოთ მომავალი პროფესიონალები“ - მარტი - მაისი 2005
- მშვიდობის კორპუსის პარტნიორობის გრანტი (PCPP) – „აღზარდოთ მომავალი პროფესიონალები - II“ - სექტემბერი 2005-აგვისტო 2006
- ევროკავშირი - „გადავაქციოთ ჩვენი თემები უკეთეს საცხოვრებელ ადგილებად“ - აპრილი 2005 – მაისი, 2006
- CARE საქართველო (Atlanta Health Trust Fund -CARE USA/USAID) - “მოზარდთა ჯანმრთელობის პროგრამა გურიაში GAP)” - ოქტომბერი 2004- აპრილი 2007
- მსოფლიო ბანკის ახალგაზრდული პროგრამა - „როცა ირგვლივ ამდენი რამ არის გასაკეთებელი“ - ივნისი – ნოემბერი 2008
- ევროკავშირი - „ვთანამშრომლობთ, რათა მოვარგოთ მსოფლიო ბავშვებს“ - ოქტომბერი 2006 - სექტემბერი 2008
- საქართველოში ამერიკის საელჩოს ალუმნი გრანტების პროგრამა - „რა შემიძლია გავაკეთო ჩემი თემისთვის“ - სექტემბერი-დეკემბერი 2009
- ევროპის ფონდი - „სად მიდის ჩემი ფული“ – სექტემბერი 2009-ივნისი 2010

- მშვიდობის კორპუსის მცირე გრანტი - კომპიუტერული ტექნოლოგიები ცვლილებებისთვის - აგვისტო-იანვარი 2011
- საქართველოში ამერიკის საელჩოს ალუმნი გრანტების პროგრამა - „ახალგაზრდა მოხალისეები სოციალური ცვლილებებისათვის“ - სექტემბერი 2010-იანვარი 2011
- PH International, USAID - სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა (ACETT) - 2010-2013
- PH International, USAID - სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“ - 2014-2018
- PH International, USAID - სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა II“ - 2018-2021
- PH International, ამერიკის საელჩო საქართველოში - ინგლისური ენის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამა (ACCESS) – 2010-2021
- PIN - „ახალგაზრდა ინტერესთა დამცველები სოციალური ცვლილებებისათვის“- ნოემბერი 2012-მაისი 2013
- მშვიდობის კორპუსის მცირე გრანტების პროგრამა - „მოხალისეობა მომავლისათვის“ სექტემბერი-დეკემბერი 2012
- საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მცირე გრანტების პროგრამა - „ჩემი თემი ირჩევს ქალს“ - თებერვალი – ივნისი 2014
- მშვიდობის კორპუსის მცირე გრანტი - „ორგანიზაციის მდგრადობა ინგლისური ენის საშუალებით“ - ივნისი - ოქტომბერი 2014
- რობერტ ბოშის ფონდი, შავი ზღვის ნდობის ფონდი - “ხელოვნება მშვიდობისა და შერიგებისათვის” - სექტემბერი 2017 - ივნისი 2018
- დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამა - „ავამოძრაოთ ბავშვები“- სექტემბერი 2014 - აგვისტო 2015
- აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს/ PH International-ის „საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პროგრამა სამართლებრივი განათლებისთვის“ (GE CALLS) – „ფილმები დიალოგისათვის“ - 2014



## დასაქმება, პროფესიული ზრდა და სოფლის განვითარება

### პირობით მსჯავრდებული არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების რეინტეგრაციისა და განვითარების ხელშეწყობა

2013-2014 წლებში, „გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა“, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და დემოკრატიული განვითარების კავშირთან თანამშრომლობით, განახორციელა პროექტი - „პირობით მსჯავრდებული არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების რეინტეგრაციისა და განვითარების ხელშეწყობა“.

პროექტის ამოცანა იყო პირობით მსჯავრდებული არასრულწლოვანი პირების, ასევე ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი რესოციალიზაცია და რეინტეგრაცია.

პროექტის ფარგლებში გაიმართა სემინარების ციკლი. მოეწყო ჯგუფური თუ ინდივიდუალური შეხვედრები. აღნიშნულ საქმიანობაში ჩართული იყო 30 მსჯავრდებული. პროექტის საშუალებით, შემდგომი დასაქმებისთვის პროფესიული უნარები განივითარა 25 მონაწილემ. კომპიუტერული ტექნოლოგიები აითვისა პროექტის 30 -მა ბენეფიციარმა. რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით გაიხსნა და დაფინანსდა სოციალური



საწარმოო, რომელიც პოლიგრაფიული მიმართულებით მუშაობს.

პროექტის ყველაზე მსხვილი კომპონენტის - მიკროგრანტების პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის გაიცა 60 000 ევროს ოდენობის ქვე-გრანტი. მცირე ბიზნესის მართვის კურსი გაიარა 30 მონაწილემ. განხორციელდა და დაფინანსდა 6 მიკროგრანტი. საყოფაცხოვრებო თუ სოფლის მეურნეობის მიმართულებით დასაქმდა 12 ადამიანი.

პროექტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პირობით მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციას, პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებას.

### მიგრანტთა საგანმანათლებლო და ბიზნესსაქმიანობების მხარდაჭერი პროექტი

2015-2017 წლებში, „გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა“, ევროკავშირის მხარდაჭერით განახორციელა „ყოფილ და პოტენციურ მიგრანტთა საგანმანათლებლო, შემოსავლის მიმღები და ბიზნესსაქმიანობების მხარდაჭერი პროექტი“.

პროექტის მიზანი იყო საქართველოდან მიგრაციის შემცირების ხელშეწყობა, პოტენციურ და დაბრუნებულ მიგრანტთათვის

საარსებო წყაროს შექმნის ეფექტური სტრატეგიების შემუშავება. განხორციელების არეალი მოიცავდა გურიის სამივე მუნიციპალიტეტს და აჭარის რეგიონის ქობულეთის მუნიციპალიტეტს. პროექტი განხორციელდა სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციასთან (DWV International) და ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან პარტნიორობით.

პროექტის ფარგლებში, სამუშაო უნარების განსავითარებელი სასწავლო პროგრამა გაიარა 61-მა მონაწილემ, პერსონალური კომპიუტერის



შემსწავლელი კურსში მონაწილეობდა 34 ადამიანი; პროფესიულ/სახელობო პროგრამაში ჩაერთო 77 ადამიანი. მცირე ბიზნესგრანტების პროგრამის ფარგლებში, კონკურსის გზით 10 ბიზნესიდეა გამოვლინდა და დაფინანსდა 5000-ლარამდე თანხით. ბიზნესიდეის განმახორციელებლებს სამდღიანი სწავლება ჩაუტარდათ მცირე ბიზნესის მართვის და ბიზნესის გეგმის მომზადების საფუძვლებზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადგილობრივი თვითმმართველობის 80 წარმომადგენელს

(სოფლად რწმუნებულები და დეპუტატები) ჩაუტარდა ტრენინგი ვიზალიბერალიზაციის, არალეგალური მიგრაციის, მიგრაციის ტენდენციებისა და ტრეფიკინგის შესახებ. მომზადდა ფორუმ თეატრის სპექტაკლი მიგრაციისა და ტრეფიკინგის თემაზე, რომელმაც იმოგზაურა გურიის და აჭარის რეგიონის მასშტაბით 28 ტერიტორიულ ერთეულში. სპექტაკლს დაახლოებით 1000 ადამიანი დაესწრო. გამოიცა ბროშურები და პლაკატები არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის, ასევე ვიზალიბერალიზაციის საკითხებზე.

**პროფესიული განათლების სისტემების მოდერნიზაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში**

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2020 წლის სექტემბრიდან „ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტმა“ ახალი პროექტის - “პროფესიული განათლების სისტემების მოდერნიზაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში ფაზა 2”- განხორციელება დაიწყო. იგი მიზნად ისახავს აგრო-საექსტენციო და საკონსულტაციო სისტემების განვითარების და ფუნქციონირების ხელშეწყობას გურიის რეგიონში, ასევე კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის შესაძლებლობების გაძლიერებას.

პროექტის პირდაპირი მოსარგებლებები არიან საჯარო საექსტენციო სერვისების მწარმოებლები (რეგიონული და მუნიციპალური



სამსახურები), ხოლო პროექტის საბოლოო ბენეფიციარები კი გურიის რეგიონში მცხოვრები ფერმერები არიან. ინიციატივის განხორციელების პერიოდია 16 თვე და მისი ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყო გაეროს განვითარების პროგრამამ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით.





**უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის**

„უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის (SECTORS)“ - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტია, რომელსაც „ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი“, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან, დემოკრატიის ინსტიტუტთან და ასოციაცია „ათინათთან“ პარტნიორობით ახორციელებს.

პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას სექტორული პარტნიორობის წახალისების, სამეწარმეო განათლების შეთავაზებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით, რათა წვლილი შევიტანოთ პროექტის სამიზნე რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში.

პროექტის სამიზნე რეგიონებია: გურია, აჭარა, სამეგრელო.

პროექტი სამი მიმართულებით იმუშავებს: 1) პროექტის სამიზნე მოწყვლადი ჯგუფის წევრთა, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელთა და საკონსულტაციო ორგანიზაციებისთვის ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების განხორციელება; 2) ადგილობრივ ეკონომიკის სექტორში დასაქმების შესაძლებლობების შექმნა არსებული ბიზნესის გაძლიერებისა და სტარტაპების დაფინანსების გზით; 3) საჭირო უნარ-ჩვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტიზაცია პროექტის ფარგლებში დაარსებული ბიზნესკლასტერების გაძლიერებითა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით.

**დასაქმების, პროფესიული ზრდისა და სოფლის განვითარების მიმართულებით განხორციელებული პროექტები**

- ევროკავშირი - „პირობითმსჯავრდებული ახალგაზრდების რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობა“ - 2013 -2014 წელი
- არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტო - „პირობითმსჯავრდებულთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და დანაშაულის პრევენციის მხარდაჭერი პროგრამის სატრენინგო მომსახურება გურიაში“ – 2013 წელი
- მშვიდობის კორპუსის მცირე გრანტი - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის პროგრამებში“ - 2015
- ევროკავშირი - „ყოფილ და პოტენციურ მიგრანტთა საგანმანათლებლო და ბიზნესსაქმიანობების ხელშეწყობი პროექტი“ – 2015-2017
- ევროკავშირი - „ყოფილი პატიმრები, პრობაციონერები და პატიმართა ოჯახის წევრები“ – (განმახორციელებელი ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტი“ – „ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი“ იყო პარტნიორი გურიის რეგიონში)
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, დანაშაულის პრევენციის ცენტრი - „ყოფილ მსჯავრდებულთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდა“ – 2015-2016
- გაეროს განვითარების პროგრამა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით - „პროფესიული განათლების სისტემების მოდერნიზაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში ფაზა 2“ – სექტემბერი 2020 - მიმდინარე
- „უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის (SECTORS)“ - ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერა - სექტემბერი 2020 - მიმდინარე



## კარგი მმართველობა

### „მართე სახლიდან“

2015-2016 წლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან პარტნიორობითა და ევროპის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, დაინერგა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მექანიზმი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების ტრანსლირება.

შეიქმნა ონლაინ ტრანსლირების ინსტრუმენტი, რომელიც განთავსდა ვებპლატფორმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე. უშუალოდ პროექტის ფარგლებში, ონლაინ ტრანსლირების პროგრამით საკრებულოს 50 სხდომა გადაიცა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ამ ინსტრუმენტს დღემდე აქტიურად იყენებს.



ამავე პროექტის ფარგლებში ახალგაზრდულმა ჯგუფებმა განახორციელეს ონლაინ ადვოკატირების 30-ზე მეტი კამპანია და ჩაატარეს სამოქალაქო მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ, ღია მმართველობის პარტნიორობის 2016-2017 და 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმებით, აღნიშნული მექანიზმის გამოყენება სახელმწიფოს ვალდებულების ნაწილს წარმოადგენს.



### საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრები სოფლად

პროექტის დონორი იყო „გაეროს განვითარების პროგრამამ (UNPD), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა (SIO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) დაფინანსებით. „ეფექტიანი მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მექანიზმების დანერგვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში“, - ასე ერქვა პროექტს, რომლის ფარგლებშიც „გურიის

ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა“ 2016 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 5 ტერიტორიულ ერთეულში საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრები დააარსა.

საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრები აღიჭურვა ტელევიზორებით, მიკროფონებითა და ვებკამერებით, რათა მოსახლეობას ადგილზე, სოფლიდან გაუსვლელად მისცემოდა საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირების თვალყურის დევნების შესაძლებლობა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი კი აღიჭურვა ტელევიზორით, რამაც ხუთივე სოფლის საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრს საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის შესაძლებლობა მისცა.

პროექტის ფარგლებში, საკრებულოს 20-მა წევრმა გაიღრმავა ცოდნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის ელექტრონული ინსტრუმენტების საკითხებზე. გარდა ამისა,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაინერგა საზოგადოებრივი აზრის კვლევის ელექტრონული ინსტრუმენტი, შემუშავდა ელექტრონული კითხვარი, რომელიც განთავსდა საკრებულოს ვებგვერდზე.

პროექტი დაფინანსდა „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ (RLD) პროგრამით, რომელიც განახორციელა გაეროს განვითარების

პროგრამამ (UNPD), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა (SIO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) დაფინანსებით. ასევე აღსანიშნავია, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის 2016-2017 და 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმებით აღნიშნული მექანიზმის გამოყენება სახელმწიფოს ვალდებულების ნაწილს წარმოადგენს.

### „იყავი თანამმართველი“

2018-2019 წლებში, „გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა“, NDI-ს ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი - „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მზარდი მონაწილეობის ინიციატივა“. პროექტის ფარგლებში შემუშავდა მოქალაქეთა ჩართულობის ელექტრონული ინსტრუმენტი/ პლატფორმა (<http://votes.ozurgeti.ge/>). სწორედ აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით გამოვლენილი პროექტების, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ქალაქ ოზურგეთში განსახორციელებელი პროექტებისათვის დასაფინანსებლად გამოყო 150 000 ლარი.

ეს არის საქართველოს რეგიონებს შორის პირველი პრეცედენტი, როცა მონაწილეობითი ბიუჯეტირების მუხლში ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით მუნიციპალიტეტმა გამოყო გარკვეული რაოდენობის თანხა. ხსენებული პლატფორმას საქართველოში ანალოგი არ გვაქვს. მექანიზმი ამჟამადაც წარმატებით მუშაობს: საპროექტო განაცხადის წარდგენის უფლებამოსილება აქვს ქალაქ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ სრულწლოვან პირს, ან პირთა ჯგუფისა და არასამეწარმეო სახის საზოგადოებრივი გაერთიანების უფლებამოსილ წარმომადგენელს.



იყავი თანამმართველი: პროექტები



## პროექტი “იყავი თანამმართველი” არის:

პირდაპირი დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფორმა, რომელსაც ქალაქ ოზურგეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახორციელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი! ეს არის მოქალაქეების შესაძლებლობა - ინიციატივების წარმოდგენით განსაზღვრონ პრიორიტეტული პროექტები და მიიღონ გადაწყვეტილება ამ პროექტების დასაფინანსებლად.

პროექტის წარდგენა



## კარგი მმართველობის მიმართულებით განხორციელებული პროექტები

- ევროპის ფონდი - „მართე სახლიდან“ - ივლისი 2015-დეკემბერი 2017
- UNDP – SGS – „მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მექანიზმები“ - დეკემბერი 2015 - მარტი 2018
- USAID – „პეტიცია - ხალხის ხმა თვითმმართველობაში“ (განმახორციელებელი ორგანიზაცია - დემოკრატიის ინსტიტუტი) – მარტი 2016- აპრილი 2018
- NDI – „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მზარდი მონაწილეობის ინიციატივა“ - ოქტომბერი 2018 - თებერვალი 2019
- ევროკავშირი - „საზოგადოებაზე ორიენტირებული თვითმმართველობის განხორციელება ქალაქ ფოთისა და აბაშის მუნიციპალიტეტებში“ – (აპლიკანტი - ფოთის მუნიციპალიტეტის მერია, თანაგანმცხადებლები: აბაშის მუნიციპალიტეტის მერია, ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი, სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო) - იანვარი-2019 - იანვარი 2022
- NDI – „აქტიური მოქალაქეები უკეთესი გარემოსთვის“ (პროექტის პარტნიორები: გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია - ეკო, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი) - სექტემბერი 2019 - თებერვალი 2020
- ევროპის ფონდი - „დასახლების საერთო კრების ინოვაციური მოდელის შექმნა ახალგაზრდების აქტიური ჩართულობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში“ (პროექტის პარტნიორი საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი) - ნოემბერი 2019 - სექტემბერი 2020



## შვილობილი ორგანიზაციები

„ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტს“ (ყოფილ „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრს“) შექმნილი აქვს სამი შვილობილი ორგანიზაცია, რომლებსაც გურიის რეგიონის მოსახლეობის პროფესიული განვითარებასა და ბიზნესსაქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ.



### ინგლისური აკადემია

ინგლისური აკადემია, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირი, „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ მიერ 2016 წლის სექტემბერში დაარსდა და მისი მიზანია ადგილობრივი საზოგადოებისათვის მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება.

აკადემიის მიმდინარე პროგრამებია:

- საბავშვო სტუდია „ABC“;
- ზოგადი ინგლისურის კურსები;
- ინგლისური ენა „სასკოლო Plus“;
- ინგლისური ენა აბიტურიენტებისათვის;
- ბიზნესინგლისური;
- აკადემიური წერის კურსი;

ყოველწლიურად აკადემიის კურსებს 100-ზე მეტი ბენეფიციარი გადის.



### ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი დაფუძნდა 2015 წლის დეკემბერში,

სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ოფისის (DVV International) და „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ მიერ.

ცენტრის მიზანია ზრდასრულთა სიცოცხლის მანძილზე განათლების ხელშეწყობა, ჩოხატაურის საზოგადოებისათვის საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობის შექმნით. ცენტრში ფუნქციონირებს ცალკეული პროცენტების საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებული პროცენტული ზრდის და სახელობო პროგრამები, ასევე სოციალური სანარმო „ხელნაკეთობათა სტუდია“



### სოციალური სანარმო „ეკოპოლიგრაფ გურია“

სოციალური სანარმო „ეკოპოლიგრაფ გურია“- დაფუძნდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც თავისი ქოლგის ქვეშ აერთიანებს სამ სანარმოს „საგამომცემლო სახლი“, „ქალაქის პარკების წარმოების სანარმო“ და „ლაზერული გრაფიკების საამქრო“.

სანარმოში პერიოდულად დასაქმებულია ყოფილი პატიმრები და პატიმართა ოჯახის წევრები.



## ფინანსური ანგარიში



## დონორები

ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტის სახელით გულითად მადლობას ვუხდით ყველა დონორ ორგანიზაციას რომელიც 2002 წლიდან დღემდე მხარს უჭერს ჩვენს ინიციატივებსა და პროექტებს. მათი დიდი მხარდაჭერის გარეშე ვერ შევძლებდით ჩვენი სამიზნე ჯგუფის წევრებისთვის სასარგებლო და ინოვაციური ცვლილებების განხორციელებას.

ჩვენი ორგანიზაციის დონორები 2002 წლიდან დღემდე:

- ამერიკან ონლაინი, მშვიდობის კორპუსის საშუალებით;
- მშვიდობის კორპუსის მცირე გრანტი;
- მშვიდობის კორპუსი საქართველოში;
- მშვიდობის კორპუსის პარტნიორობის გრანტი;
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
- ევროკავშირი
- ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)
- მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში
- საქართველოში ამერიკის საელჩო, დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამა; ალუმნი გრანტების პროგრამა
- ევროპის ფონდი
- CARE საქართველო
- ბრიტანეთის საელჩო საქართველოში
- PH International
- „ადამიანი გაჭირვებაში“ (PIN)
- DVV International
- შვეიცარიის საელჩო საქართველოში
- რობერტ ბოშის ფონდი, შავი ზღვის ნდობის ფონდი
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)
- ინტერნიუსი
- Partners Global